გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 209

2023 წლის 10 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

განათლების განყოფილება

„განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა“ - 2023 წ. - (პროგრამის ბიუჯეტი - 150 000 ლარი)

№	პროექტის სახელწოდება	პროექტის განხორციელების პერიოდი	პროექტის წარმდგენი/ განმახორციელებელი	პროექტის ბიუჯეტი (ხელშეკრულებით, ლარი)	მერიის ფინანსური წილი პროექტში	ბენეფიციართა რ-ბა	შენიშვნა
1.	,,STEM პროექტების მოდელირება და კონსტრუირება“	თებერვალი - მაისი	სსიპ გორის მუნიც. სოფელ შინდისის საჯარო სკოლა	1 207	**1 058**	20	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 149 ლ. **(ხელშეკრულება #1, ვადა - 03.02.23 – 31.12.23) -** დასრულდა
2.	,,ქალთა გაძლიერება სწავლება-გადამზადების გზით გორის მუნიციპალიტეტში“	თებერვალი - ივნისი	ა(ა)იპ ,,ნაბიჯი განვითარებისათვის“	7 600	**4 600**	30	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 3000 ლ. **(ხელშეკრულება #2, ვადა - 23.02.23 – 31.12..23) .** დასრულდა
3.	,, ვიმეგობროთ წიგნთან“	მარტი - ივლისი	სსიპ გორის #7 საჯარო სკოლა	1 810	**1510**	50	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 300 ლ. **(ხელშეკრულება #3, ვადა - 27.02.23 – 31.12.23) .** დასრულდა.
4	,,ჩვენ ვქმნით, ჩვენ ვაშენებთ მომავალს“	მარტი -ივნისი	ა(ა)იპ ასოციაცია ,,ბეთლემი“	4 880	**3 900**	30	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 980 ლ. **(ხელშეკრულება #4, ვადა - 20.03.23 – 31.12.23) .** დასრულდა.
5.	,,ეს საინტერესოა“	ივნისი	ა(ა)იპ ,,გაავრცელე”	12 654	**8 554**	30	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 4 100 ლ. **(ხელშეკრულება #5, ვადა - 09.06.23 – 31.12.23) .** დასრულდა.
6.	,,საზაფხულო ბანაკი 2023” - დაბა ბაკურიანში	ივლისი-აგვისტო	გორის მერია	87 090	**87 090**	150	მერიის ფინანსური წილი - 87 090 ლ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **ხელშეკრულება #73 (ვადა 07.04.23-31.12.23).** დასრულდა.
7.	,,მეურნეობა“	სექტემბერი-დეკემბერი	ა(ა)იპ ,,მეურნეობა განათლება“	55 960	**30 000**	52	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 9 360 ლ, დონორი ორგანიზაცია - 16 600 ლ, **(ხელშეკრულება #6, ვადა -07 09.23 – 31.12.23) -** მიმდინარე
8.	გორის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგის (100%-იანი გრანტის) მიხედვით	ნოემბერი	გორის მერია	17 500	**17 500**	35	100%-იანი გრანტის მქონე კურსდამთავრებულების დაჯილდოვება.
	ჯამი	**8 პროექტი**			**152 312**	**397**	

კულტურის განყოფილების

2023 წლის ანგარიში

კულტურის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

კულტურის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო

სკოლების და კულტურის სხვა დაწესებულებების ფუნქციონირებაში ხელშეწყობა;

შემოსულ კორესპოდენციაზე (წერილი,განცხადება, მოხსენებითი ბარათი)

შესაბამისი რეაგირება (შემოსული წერილის შესწავლა,მომზადება,პასუხის გაცემა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, ახორციელებს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას და თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას, საპატიო გორელების და გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, დაჯილდოვებას და მათ წახალისებას, ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვებას ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება ასევე ახორციელებს კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანძურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რელიგიური კერების ხელშეწყობა.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში წლის ბოლომდე მიმდინარეობს ტიხრული მინანქრის კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის შშმ ახალგაზრდებისთვის.

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს კერამიკის კურსის შესწავლა ახალგაზრდებისთვის (კერამიკოსი გიორგი ტატულაშვილის მიერ).

კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს პროექტი სოფელ ნიქოზში მცხოვრები ჭრა - კერვით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. სასწავლო კურსი ითვალისწინებს ნიქოზში არსებული წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სკოლის შემოქმედებითი წრეების მოსწავლეებისთვის ტრადიციული სამოსის შექმნას. სამოსის შექმნის პროცესს მოწვეული პროფესიონალები უძღვებიან. ტრადიციული სამოსით ჯამში 60 -მდე სკოლის მოსწავლე შეიმოსება. ისინი პროექტის ფარგლებში შეკერილი სამოსით წარსდგებიან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებებზე, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

.საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ პატარებისთვის საახალწლო წარმოდგენა გამართა.
მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დევნილი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ბავშვებიც წარმოდგენას „საშობაო ქალაქს" დაესწრნენ და თოვლის ბაბუისგან საჩუქარიც მიიღეს.
საახალწლო ღონისძიებას, გორის კულტურის ცენტრმა 3, 4 და 5 იანვარს უმასპინძლა, რომელსაც1800-მდე ბავშვი დაესწრო.
ღონისძიება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

1 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით გორში, საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.
ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობების პარალელურად, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც მიმდინარეობდა.
დასკვნითი ღონისძიებაზე მოწვეულმა შემსრულებლებმა იმღერეს.
ღონისძიებაზე საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს ოპერის ორკესტრმა, ნუკრი კაპანაძემ, თემურ თათარაშვილმა, ნათია პერანიძემ, დათუნა სირბილაძემ, გიორგი მეფისაშვილიმა, კვარტეტმა "ავტოგრაფმა", Georgian Six - მა, ეკა დოლიძემ და მარიამ როინიშვილმა.საღამო ფოიერვერკით დასრულდა.

პროექტი „ბედნიერი ახალი წელი" გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში კულტურის განყოფილებამ სადღესასწაულო ცენტრ „დისნეისთან" ერთად განახორციელა. ზღაპრის გმირებმა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრისა და საზოგადოება „ბილიკის" ბენეფიციარებისთვის საახალწლო ღონისძიება გამართეს.
პატარებს საახალწლო საჩუქრები და საახალწლო წარმოდგენაზე „საოცრებათა ქალაქი" დასასწრები ბილეთები გადასცეს, ასევე ახალი წელი ტკბილეულით და საჩუქრებით ზღაპრის გმირებმა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს მიულოცეს.

17 იანვარს გორმა ნიკოლოზ რაჭველისა და გორის გოგონათა გუნდის კონცერტს უმასპინძლა.
კონცერტზე, რომელიც სრული ანშლაგით დასრულდა, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი, ასევე ყველასთვის საყვარელი და ცობილი მუსიკოსები - ლიზა ბაგრატიონი, ბექა გოჩიაშვილი, გიორგი ცაგარელი და ლიზა რამიშვილი.
ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მერიის და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა.
კონცერტის ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდა.

21 იანვარს გორში გიდების საერთაშორისო დღე აღინიშნა.
გორის მუნიციპალიტეტის მერიის, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს და ტურიზმის განყოფილების მიერ, 2023 წლის 21 თებერვალს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში გიდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრება ჩატარდა. სადაც მოწვეულები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტის მუზეუმების ხელმძღვანელები და იქ

მომუშავე გიდები, ასევე ჩვენი რეგიონის დამოუკიდებელი გიდები. შეკრებილებს მიესალმნენ და გიდების საერთაშორისო დღე მიულოცეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

21 თებერვალს --მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კულტურის განყოფილების ინიციატივით და ხელშეწყობით გაიმართა ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, გორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, გორის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.
7 მარტს გორში, ქალთა კვირეულის ფარგლებში ლაშა ღლონტის საღამო გაიმართა,რომელიც კულტურის განყოფილების და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა.

10.11 და 12 მარტს გორის კულტურის ცენტრში საქველმოქმედო კონცერტები ჩატარდა გიორგი კუზიბაბაშვილის დასახმარებლად.
კონცერტები გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების და კულტურისა განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.
საქველმოქმედო კონცერტებში გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, საესტრადო სიმღერებისა და თანამედროვე ცეკვების შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

8 მარტს ღონისძიება,, ქალი და გაზაფხული ქალთა კვირეულის ფარგლებში მწერალ ქალბატონებთან გაიმართა. მამაკაცებმა ლექსებით მიულოცეს დამსწრე ქალბატონებს და თაიგულები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ასევე დედის დღე მიულოცეს ემიგრანტ ქალბატონებს.

21 მარტს კულტურის განყოფილების ინიციატივით დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა

ამ დღის აღნიშვნის მთავარი მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა.
დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და Embassy of Sweden in Tbilisisi მხარდაჭერით გაიხსნა გამოფენა: "ჩვენ-30 ამბავი''

გორის ფოტოგრაფთა კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტი - ART HOUSE-2023 გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტი, რომელიც 6 აპრილს დაიწყო გულისხმობს 4 გამოფენის მოწყობას. ხელოვნების სახლმა გამოაცხადა კონკურსები წლის მნძილზე მხატვრებისთვის გამოფენების მოსაწყობად. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა ფოტოგრაფიის უფასო კურსი, რომელმაც მსმენელებს საშუალება მისცა თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული დავალებებიც შესრულებინა.

8-9 აპრილს,პირველად გორში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და თანადაფინანსებით, სპორტის სასახლემ ძაღლების საერთაშორისო გამოფენებს „Georgian Spring 2023"- ს და „Golden Cup 2023"- ს უმასპინძლა.
მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებულ პროექტი საქართველოს კინოლოგიური ფედერაციამ განახორციელა.

გამოფენებში მონაწილეობას 600 - ზე მეტი ჯიშის ძაღლი იღებდა, აქედან 360 ძაღლი გორს უცხო ქვეყნებიდან ესტუმრა.
საერთაშორისო გამოფენაზე გორში მოწვეულები იყვნენ საერთაშორისო ექსპერტებიც.
პროექტის მიზანია ძაღლის ჯიშობრივი ხარისხისა და გენოფონდის გაუმჯობესება.
ძაღლების საერთაშორისო და ეროვნული რანგის გამოფენები ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართება.
გორში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა
ღონისძიება თეატრის საერთაშორისო დღეს - 27 მარტს გაიხსნა და 30 მარტს დაიხურა.
ღონისძიების ფარგლებში 28,29 და 30 მარტს გაიმართა სპექტაკლის პრემიერა ,,ქეიფი სოლოლაკში"
ღონისძიებას გორის პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა უმასპინძლა.

ფესტივალს, იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი და გიორგი ერისთავის სახელობის გორის პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოგვიდგინა.
ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში იტალიის კულტურის სამინისტროსა და ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით განხორციელდა.

14 აპრილს დედაენის დღე აღინიშნა.
გორში, დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს.
ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ შიოშვილი და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ლელა მაისურაძე ესწრებოდნენ. მათ გამარჯვებულ მოსწავლეებს, მათ პედაგოგებსა და მშობლებს ქართული ენის დაცვის დღე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.
კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

23 აპრილი გორის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის განყოფილებამ და გორელმა მწერლებმა წიგნის საერთაშორისო დღე წიგნების გაჩუქებით აღნიშნეს.

მიმდინარე წლის 3 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების ორგანიზებით მწერლის ვახტანგ ცეცხლაძის შემოქმედებითი საღამო და წიგნის ,,ჟამი განკითხვისა'' პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს დაფინანსებით და ხელშეწყობით გამოიცა.

9 მასს გორის ფოტოგრაფთა კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტი - Kolga-Gori Photograpfers Club'' გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტიის მიზანი იყი ფოტოგრაფიის მეშვეობით წარმოეჩინათ თუ როგორ გრძელდება ცხოვრება იმ ადგილას, რომელსაც დღეს დევნილთა დასახლებას უწოდებენ, როგორ იცვალა ფერი იქ მდგარმა სახლებმა, როგორ მოახდინეს ახალ ადგილზე მცხოვრებმა ადამიანებმა საცხოვრებელი გარემოს ფორმირება. პროექტის ფარგლებში მოეწყო გამოფენა გორელ ფოტოგრაფთა კლუბის და ქოლგას პარტნიორობით .

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, გორში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.
გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით რაზმაძესთან და ადგილობrივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მებრძოლთა მემორიალი გვირგვინებით შეამკო.
საბრძოლო დიდების მუზეუმთან შეიკრიბნენ სამამულო ომის მონაწილეების ახლობლებიც. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს 78 წლის წინ განვითარებული მძიმე მოვლენები.
გორის მუნიციპალიტეტში ამჟამად მეორე მსოფლიო ომის ორი მონაწილე ცხოვრობს. ორივე ვეტერანს მერი
და საკრებულოს თავმჯდომარე ოჯახებში სტუმრობდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ
ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს და სასურსათო პაკეტები გადასცეს.

11 მაისს გორში, ტურისტული სეზონი საზეიმოდ გაიხსნა.
რუსთაველის ქუჩაზე, ერეკლეს აბანოს შენობაში გამოფენილი იყო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მეფე ერეკლეს ოჯახის წევრების პირადი ნივთები და გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარედ წარმოდგენილი იყო ასევე, სკოლების კუთხეები თემით - ,,ერეკლე და ძველი გორი", ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ხელოვანები რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებიც.
ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა.

16-17 მაისს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მეჯვრისხევსა და ნიქოზში ქართველი შემსრულებლების კონცერტები გაიმართა.
კონცერტებს ანსამბლთა გაერთიანებამ „ქალაქური მრავალხმიანობა" პროექტის „ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონებში " ფარგლებში გამართა.
ანსამბლთა გაერთიანება „ქალაქური მრავალხმიანობა" საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის „ქართული ესტრადა და ფოლკლორი რეგიონებში " ერთ - ერთი გამარჯვებულია.
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივა ხელს უწყობს როგორც ქართველ მუსიკოსებს, ანსამბლებსა და ავტორებს, ასევე ყველა კუთხისა და რეგიონისათვის ხელმისაწვდომს ხდის ხარისხიან მუსიკას, რაც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.
კონცერტები, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სოფლების ცენტრში, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტში ღონისძიებები ჩატარდა.

სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

- სკოლებისა და საგანმანათლებლო ჯგუფების აქტივობები;
- ღია კარის დღე;

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი

- გამოფენა-გაყიდვა და კონცერტი ბავშვთა საესტრადო ანსამბლის მონაწილეობით;

საბრძოლო დიდების მუზეუმი

- ღია კარის დღე;

ნიკო ლომოურის მუზეუმი არბოში

- ღია კარის დღე;

ალექსანდრე ჯავახიშვილის მუზეუმი ძევერაში

- ღია კარის დღე;

გორის მუნიციპალიტეტს ბათუმში გამართულ რიგით მე-14 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში "EBIT 2023" აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის სერტიფიკატი გადაეცა.
დამთვალიერებლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ გორელი ხელოვანების საქმიანობით და მათთან ერთად აქტიურად ჩაერთნენ შემოქმედებით პროცესში.
გამოფენაზე წარმოდგენილი საინფორმაციო მასალებით, სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი რესტორნების, სასტუმროების, კვებისა და ტურისტული ობიექტების შესახებ.
გამოფენა 19-21 მაისს ბათუმში ჩატარდა. ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, ტურიზმის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გორის ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა იქნა წარმოდგენილი.

ადგილზე მოსულ სტუმრებს საშუალება ქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ არაერთ სახალისო აქტივობაში – მათ ადგილზე დახვდათ თემატური ინსტალაციები, ციფრული კუბი, საბავშვო გასართობი სივრცეები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადგილობრივი მეწარმეებისა და სამხედრო ტექნიკის გამოფენები და სხვა.

1 ივნისს გორში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა სახის გასართობის ღონისძიებებით აღინიშნა.

სკვერში პატარებს და არა მარტო პატარებს, შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ადგილობრივი შემსრულებლებისთვის, დაეთვალიერებინათ წარმოდგენილი ნამუშევრები, დასწრებოდნენ ანიმატორების წარმოდგენებს და ა.შ. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კულტურის ცენტრში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსიც მოეწყო. ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების და კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის არასრულწლოვან ბენეფიციარებს საგანმანათლებლო დღის ცენტრმა ,,ბუდემ" უმასპინძლა. ბავშვებმა დღის ცენტრის მიერ დაგეგმილ სახალისო - შემეცნებით აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება გორის მერიის ორგანიზებით გაიმართა. მასში მონაწილე ყველა მოზარდი მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის დახმარებებით სარგებლობს.

1 ივნისს მერიის მხარდაჭერით გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სოციალურად დაუცველ და დევნილ 120 ბავშვს უმასპინძლა. მოზარდებმა სპექტაკლი ,,კარლსონი" ნახეს.

მიმდინარე წლის 13 ივნისს გორის მუნიციპალიტეტში კერამიკის და ტექსტილის სახელოსნოები გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ევროკავშირის შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროგრამის კოორდინატორი საქართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი დავით ბუჯიაშვილი, პროექტის ბულგარელი და უკრაინელი პარტნიორები, შემოქმედებითი ტურიზმის საინფორმაციო ტურების ქართველი, ბულგარელი და უკრაინელი ტუროპერატორები და გიდების ასოციაციის წარმომადგენლები.

კერამიკისა და ტექსტილის შემოქმედებითი სახელოსნოები აშენდა და ტექნიკურად აღიჭურვა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის პროგრამის პროექტის „ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა (THC)" ფარგლებში .თანამშრომლობით რეგიონის წარმომადგენლებისა და ტურისტებისთვის საგანმანათლებლო მასტერკლასებს გამართავს.

მიმდინარე წლის 20 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების და მწერალთა სახლის ორგანიზებით გაიმართა მოსწავლეთა ელექტრონული და ხელნაკეთი წიგნების კონკურსი.

პროექტი ,,ხელნაკეთი წიგნის'' გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა გორის მწერალთა სახლში. კონკურსი სამ ასაკობრივ ჯგუფში, ორი თვის მანძლზე მიმდინარეობდა და 9 გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდა, ასევე დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეები. მათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდები ხელნაკეთ წიგნებს ამზადებენ, არჩევენ წიგნის შინაარსს და თავადვე ქმნიან დიზაინს.

კონკურსში გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 300 მდე მოსწავლე მონაწილეობდა. პროექტი ყოველწლირად ხორციელდება და მოზარდებში შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მიმდინარე წლის 22 ივნისს ცნობილ ქართველ მწერალს და ჟურნალისტს
ო ლ ი ა ბ რ ა გ ვ ა ძ ე ს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების და მწერალთა სახლის ორგანიზებით მისი შემოქმედებითი საღამო ჩატარდა ამ თარიღთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით ქალბატონ ოლიას ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიენიჭა.

27 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ხელოვნება საზღვრების გარეშე"ფარგლებში ახალგაზრდებმა პერფორმანსი გამართეს.

პროექტის მიზანი სპექტაკლებისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა და საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენაა.

50 ახალგაზრდა (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები), რომლებიც პროექტის ფარგლებში კინო და სამსახიობო ხელოვნებას, გადაღებას, მონტაჟს, გრაფიკულ არქიტექტურას, სცენარის შექმნასა და ფერების კორექციას სწავლობენ, კონკურსის წესით შეირჩნენ.
სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, პროექტის ბენეფიციარები მონაწილეობას მიიღებენ მოკლემეტრაჟიანი ფილმების სცენარების კონკურსში. სამი საუკეთესო სცენარის მიხედვით მომზადდება ფილმები, რომლებიც გაიგზავნება საერთაშორისო ფესტივალებზე. გარდა ფილმებისა, საერთაშორისო ფესტივალებზე წარსადგენად დაიდგმება 5 სპექტაკლიც. ყველა პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება ქართველი მაყურებლისთვის.
პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდები შექმნიან ასევე გორის მუნიციპალიტეტის საიმიჯო ვიდეორგოლებსაც.
4 თვიანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 5 კინოჩვენებაც, რის შემდეგაც ახალგაზრდები მოაწყობენ დებატებს და იმსჯელებენ სხვადასხვა სოციალურ თემებზე.
პროექტი, რომელიც წარმატებული ბენეფიციარების დასაქმებასაც ითვალისწინებს, ა(ა)იპ ,,ჭკვიანი მომავალი" ახორციელებს.
ინიციატივა გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით და გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების ხელშეწყობით 1 ივლისს გორში, თეატრის სკვერში, 19:00 საათიდან 22:00 საათამდე მუსიკალურ საღამო გაიმართა ,სადაც წარმოდგენილი იყო თოჯინების თეატრი წითელქუდა და სხვადასხვა აქტივობები,ღონისძიებას უძღვებოდა ნიკოლოზ წულუკიძე.

14 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართა სპეკტაკლი ,,წითელქუდა'' და სოციალურად დაუცველ და დევნილ 400 ბავშვს უმასპინძლა.

15 ივლისიდან ელექტრონული მუსიკის საღამოები ჩატარდა.
პროექტი მიზნად ისახავს ელექტრონული მუსიკის პოპულარიზაციას, აღნიშნულ მუსიკალურ ჟანრში მომუშავე, გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მუსიკოსების ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობას.
მოსწავლე - ახალგაზრდებში ჯანსაღი გართობის წესის დანერგვის ხელშეწყობას.

18 ივლიისს გორში, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მაჩაბელი" ჩატარდა,რომელიც გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული.
პროექტი სამინისტროს, უნივერსიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა. ლიტერატურულ კონკურს „მაჩაბელის" წლის საუკეთესო პოეტური ციკლის/კრებულის ნომინაციაში გამარჯვებულ ავტორს სოსო მეშველიანს გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან 2000 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა

საუკეთესო პოეტური ციკლი/კრებული - „მწერი ქარვაში".

კონკურსის ლაურეატების დასახელება და დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში გაიმართა.
ხელოვნების კონკურსი „მაჩაბელი" 18 ივლისს საზეიმოდ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა და 20 ივლისს არბოში დასრულდა.
კონკურსი ,,გორის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში მესამე წელია იმართება.
კონკურსის მიზანია საოკუპაციო ხაზთან არსებული რეგიონის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება, ლიტერატურის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ახალი ავტორებისა და ლიტერატურული კერების აღმოჩენა და რეგიონის ცნობადობის გაზრდა.

22 ივლისს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია სივრცეში გაიმართა ხელოვანთა კონკურსი ,,ფიროსმანი 2023'', რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ხელოვანმა ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების მხარდაჭერით და მხატვარ მაკა ბერძენიშვილის ინიციატივით გაიმართა.

8 აგვისტოს გორში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის სკვერში სანთლების აქცია გაიმართა.
სამშობლოსთვის თავდადებული გმირების უკვდავსაყოფად ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს მათ ხსოვნას და აგვისტოს მძიმე დღეები კიდევ ერთხელ გაიხსენეს.
გორში სანთლების აქციას წარწერით 08.08.08 ტრდაციული სახე აქვს.

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს გორში პატივი მიაგეს.
დილიდან გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი საკრებულოს თავმჯდომარეთან დავით რაზმაძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულ გმირთა მემორიალებზე იმყოფებოდა.
ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს ძმები რომელაშვილების მემორიალი, ომში გარდაცვლილ სამხედრო და საერო პირთა მემორიალი, „სიცოცხლის ხე“ და „ცრაკაცას“ სკულპტურები.
ომში გარდაცვლილ სამხედრო და საერო პირთა მემორიალთან გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

11 აგვისტოს სოფელ შინდიშში ომის დროს დაღუპული 17 გმირის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.
„ზუსტად 15 წლის წინ, ზუსტად ამ ადგილას, სამშობლოს ღირსების დასაცავად 22 ჯარისკაცი იბრძოდა. მათ შორის, 17 ახალგაზრდა უთანასწორო ბრძოლას გმირულად შეეწირა. 2008 წლის 11 აგვისტო ერთ-ერთი ყველაზე საამაყო და ამავდროულად ტრაგიკული დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

მდგრადი ენერგეტიკის დღე ამჯერად ტანას ხეობაში, ბიისის მწვანე ბანაკში გაიმართა და მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ინფორმირებულობას მდგრადი ენერგეტიკის შესახებ.

ღონისძიებაზე, რომელსაც 100 - მდე მოზარდი ესწრებოდა, გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა ისაუბრებს ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერგიის წყაროებზე, ასევე მუნიციპალიტეტში მათ როლზე მდგრადი ენერგეტიკის განვითარებაში და მათი დაცვის აუცილებლობაზე.

1 სექტემბერს ნიქოზში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,ნიქოზი 2023“ გაიხსნა.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები რამაზ შიოშვილი და ლელა მაისურაძე.

ნიქოზის ფესტივალი არის საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ძლიერი სამშვიდობო გზავნილი, როგორც დღემდე მომავალშიც გორის მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის იქნება ღონისძიების მხარდამჭერი, რათა ამ ტრადიციამ დიდხანს იარსებოს. პროექტის თანადაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

ფესტივალი 6 სექტემბერს დასრულდა.

ფესტივალი 2008 წლის ომის შემდეგ ნიქოზის ეპისკოპოსის მეუფე ისაიას ინიციატივით დაფუძნდა და წელს მეთერთმეტედ გაიმართა.

9 სექტემბერს მწერალ დავით ახლოურის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელის გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების ხელშეწყობით ჩატარდა.

17 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით გორელი ახალგაზრდებისთვის სტეფანწმინდაში ალპინისტური ექსპედიცია მოეწყო.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში ის აქტიური ახალგაზრდები ჩაერთნენ, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან მოგზაურობით და ალპინიზმით.

ექსპედიციის წევრებმა დაათვალიერეს სტეფანწმინდა, დარიალის ხეობა, გერგეთის სამების ეკლესია, ალპინიზმის მუზეუმი. გარდა ამისა, ახალგაზრდები შეხვდნენ ცნობილ ალპინისტებს, ნახეს დოკუმენტური ფილმები ქართული ალპინიზმისა და ქართველი ალპინისტების შესახებ. მოსწავლეებმა დაიპყრეს მწვერვალები „დედა ენა“ და „გოგებაშვილი“. ბანაკში განხორხციელდა სპორტული, კულტურული, შემეცნებითი აქტივობები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდას.პროექტი ასოციაცია „ტონთიოსთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა.
აფხაზეთის ომის დასრულების 30 - ე წლისთავთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიდების მუზეუმთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

გორში 5 წლიანი პაუზის შემდეგ „საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი 2023“ გაიხსნა.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული აკადემიური და საბავშვო საგუნდო კოლექტივები. ასევე, პროფესიული გუნდები უცხოეთიდან.
ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა და გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით გაიმართა.
გორში საგუნდო მუსიკის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს. ფესტივალი დიდი მაესტროს შალვა მოსიძის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც საერთაშორისოდ აღიარებული გორის ქალთა კამერული გუნდის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ აღნიშნული გუნდის არსებობა იყო წინაპირობა პირველად საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალის დაარსებისა ღონისძიება უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენა იყო არა მარტო გორისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

29 სექტემბერს ღონისძიებაზე შალვა მოსიძის ვარსკვლავი გაიხსნა.
ღონისძიების მიზანია ქართული საგუნდო საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია, შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის საგუნდო კოლექტივებთან და მათი შემოქმედების გაცნობა მსმენელისთვის.

შიდა ქართლი „თბილისობის“ დღესასწაულს შეუერთდა
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმში „თბილისობის“ დღესასწაული მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლებმა ფოლკლორული კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ადგილობრივი სამზარეულო, ღვინის კუთხეები და ქართული ტრადიციული რეწვის მასტერკლასები წარმოადგინეს, ღონისძიება გორის მუნიციპალიტეტის

მერიის კულტურის განყოფილების და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ იქნა ორგანიზებული.

გორის საესტრადო სტუდია ,,დილა''-ს მოსწავლეებმა ქეთევან ქუმსიაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის რესპუბლიკაში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე სადაც საპრიზო ადგილები მოიპოვეს. მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების მიერ მოხდა ამ ნიჭიერი ახალგაზრდების დაჯილდოება და გადაეცათ მადლობის სიგელები. გორის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებულ ახალგაზრდებს მაქსიმალურად მხარს უჭერს და ხელს უწყობს საკუთარი ნიჭის რეალიზებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სთავაზობს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც კულტურულ სფეროში მოღვაწე ხელოვანების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს გორში ქალაქის სახალხო დღესასწაული „გორის დღე 2023“ აღინიშნა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეგობარი ქალაქებიდან ოჟიშიდან (პოლონეთი) და უთენადან (ლიეტუვა) გორში სტუმრად მყოფ დელეგაციის წევრებთან ერთად დაათვალიერეს თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილი პროდუქცია, ხელოვანების ნამუშევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების კუთხეები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული სანახაობები და აქტივობები.

სადღესასწაულო სივრცეში წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულებების კუთხეები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციისა და ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა, კვების ობიექტებისა და სოფლების კუთხეები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ტურისტული კუთხე - „ჯიპ - ტური“ გაიმართა.

„ გორის დღე 2023 “- ს გალა-კონცერტი დაასრულებს. კონცერტში, მონაწილეობას იღებენ „ქიმერა“, ადგილობრივი ბენდი SOFT WAVE და მუსიკალური ჯგუფი „მგზავრები“.ღონისძიება კულტურის განყოფილების და კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით და ჩართულობით გაიმართა.

12 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 40 აქტიური ახალგაზრდა გაემგზავრა ასოციაცია ტონთიო მდგრადი გარემო და ტურიზმი-ის მიერ ორგანიზებულ ბანაკში ,,ვიცნობდეთ საქართველოს''. ექსპედიცია მოეწყო გუდამაყრის ხეობაში, ექსპედიციის მონაწილეები დაბანაკდნენ სოფელ ჩოხში, საიდანაც მოეწყო ლაშქრობა შავი არაგვის ჩანჩქერზე. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს სოფლები დუმაცხო, ბურსაჭირი ასევე დაათვალიერეს გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი, სადაც მოეწყო ფილმების ჩვენება და გოდერძი ჩოხელის მოთხრობების განხილვა. ბანაკში განხორხციელდა სპორტული, კულტურული, შემეცნებითი აქტივობები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდას.

კულტურის განყოფილების მიერ 2023 წელს განხორციელებული პროექტები

№	პროექტის სახელწოდება	პროექტის განხორციელების პერიოდი	პროექტის წარმდგენი/ განმახორციელებელი	პროექტის ბიუჯეტი (ხელშეკრულების თანახმად, ლარი)	მერიის ფინანსური წილი პროექტში	ბენეფიციართა რ-ბა	შენიშვნა
1	„შშმ ახალგაზრდების სთვის კლასი-ტიხრული მინანქარის შესწავლა“ თინა ბრეგვაძე	იანვარი-დეკემბერი	ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“	ხელშ.N1/ 10 იანვარი, 2023წ./ 12 840 ლარი	10 800ლარი (ორგანიზ.ფ/წ 2 040ლარი)	10	მიმდინარე
2	„შშმ ახალგაზრდებში მოტორიკის უნარების განვითარება თიხის დამუშავებით“ თინა ბრეგვაძე	თებერვალი-დეკემბერი	ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“	ხელშ. #2 3 თებერვალი. 2023წ./ 8 840 ლარი	7 700 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 1 140ლარი)	30	მიმდინარე
3	„ქორეოგრაფიული და საგუნდო შესამოსელის ჭრა-კერვის სახელოსნო სკოლა“ ნიქოზი	თებერვალი-დეკემბერი	ა(ა)იპ ნიქოზის წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა	ხელშ. #3 6 თებერვალი. 2023წ./ 25 050 ლარი	22 150 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 2 900ლარი)	50	მიმდინარე
4	„ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო რანგის გამოფენა“	8-9 აპრილი	საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია	ხელშ. #4 15 თებერვალი. 2023წ./ 25 095 ლარი	9 452 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 15 800ლარი)	600	
5	,,კერამიკის შემსწავლელი კლასი“	თებერვალი-დეკემბერი	კერამიკოსი გიორგი ტატულაშვილი	ხელშეკ. #5 17 თებერვალი. 2023წ./ 9 750 ლარი	8 800ლარი (ფ/პ წილი 950 ლარი)	20	
6	,,საერთაშორისო, ვიდეო-საგანმანათლებლო ფესტივალი“	მარტი-მაისი	სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	ხელშ. #6 10 მარტი. 2023წ./ 7 900ლარი	6 700 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 1 200 ლარი)	70	

7	„ART HOUSE – 2023“- „არტ ჰაუსი- 2023“	ივლისი	ა(ა)იპ „გორელ ფოტოგრაფთა კლუბი“	ხელშ. #7 6 აპრილი. 2023წ./ 54 000 ლარი	40 800 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 13 200 ლარი)	600	
8	ლიტერატურული კონკურსი- „მაჩაბელი“	აპრილი-ივლისი	სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელშ. #8 20 აპრილი. 2023წ./ 21 270 ლარი	3 960 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 310 ლარი, დონორი ორგანიზაციები 17 000 ლარი)	500	
9	„ხელოვნება საზღვრებს გარეშე“	აპრილი-დეკემბერი	ა(ა)იპ „ჭკვიანი მომავალი“	ხელშ. #9 27 აპრილი. 2023წ./ 35 560ლარი	30 560ლარი (ორგანიზ.ფ/წ 5 100 ლარი)	200	
10	„Kolga-Gori Photographers Club“ „ქოლგა - გორის ფოტოგრაფთა კლუბი“	მაისი-ივლისი	ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბი	ხელშ. #10 5 მაისი. 2023წ./ 4 072 ლარი	2 696 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 800 ლარი, დონორი ორგანიზაციები 576 ლარი)	300	მიმდინარე
11	თოჯინების სპექტაკლი „წითელქუდა“	ივნისი-სექტემბერი	სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	ხელშ. #11 14 ივნისი. 2023წ./ 7 900 ლარი	6 900 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 1 000 ლარი)	500	მიმდინარე
12	„ექსპედიცია სტეფანწმინდაში“	5 - 10 სექტემბერი	ასოციაცია „ტონთიო“	ხელშ. #12 აგვისტო 2023წ. 12 500 ლარი	8 750 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 3 750 ლარი)	50	

13	,,მე-11 ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,ნიქოზი“	1-7 სექტემბერი	ა(ა)იპ წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა	ხელშ. #13/ 29 აგვისტო 2023წ. 20 300 ლარი	4 000 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 4 800 ლარი) დონორი ორგ. 11 500		
14	,,გორის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“	27-30 სექტემბერი	გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	ხელშ. #14/ 4 სექტემბერი 2023წ. 159 901, 5 ლარი	145 365 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 14 536 ლარი		
15	,,ახალი საკონცერტო ფორმები სსიპ გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდისთვის	სექტემბერი	სსიპ გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი	ხელშ. #15/ 4 სექტემბერი 2023წ. 9 860 ლარი	8 875 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 988ლარი	71	
16	,,ვიცნობდეთ საქართველოს“	12-15 ოქტომბერი	ასოციაცია ,,ტონთიო“	ხელშ. #16/ 12 ოქტომბერი 2023წ. 10 520 ლარი	8 200 ლარი (ორგანიზ.ფ/წ 2 320ლარი	50	
17	,, შიდა ქართლის კინოფესტივალი - 2023 წელი“	27 -29 ოქტომბერი	ქ. გორის XII საჯარო სკოლა	ხელშ. #17/ 17 ოქტომბერი 6 450 ლარი	3 000ლარი (ორგანიზ.ფ/წ 450ლარი,დონორ. 3 000 ლ.		

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ,,კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების მოსწავლეების საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯები

1. ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. კარლოვი-ვარში ჩატარდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,სულიკო“ , სადაც მონაწილეობა მიიღეს ქ. გორის მუსიკალური სტუდია ,,ბგერების სამყაროს“ მოსწავლეებმა :

ა) ნინი აწკარუნაშვილი

ბ) საბა გიორგაძე

გ) სალომე ბერიძე

2. ლატვიაში, 10 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით, კერამიკის სახელოსნოში მიწვეული იყო სამხატვრო აკადემიის წარმატებული სტუდენტი ავთანდილ დათაშვილი.

3. ესპანეთში, 26-30 ივნისისს, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე მიწვეული იყო მაიკო შათირიშვილი.

სამომავლო გეგმები

28 ოქტომბერს დაგეგმილია საყოველთაო ზეიმი იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით - ,,იაკობობა'' სოფელ ვარიანში.

27-29 ოქტომბერს დაგეგმილია პროექტი ,,შიდა ქართლის კინოფესტივალი 2023'', რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტის მიზანია შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდებში დოკუმენტური ფილმების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.
31 დეკემბერს დაგეგმილია საახალწლო ღონისძიება.

სპორტის განყოფილება

2023 წლის შესრულებული სამუშაო

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტუტული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილება მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს:

- სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;
- სპორტული მუნიციპალური პროგრამების განხორციელება კოორდინაციას;
- მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, სპორტული კომპლექსების, ფუნქციონირების ხელშეწყობას;
- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებას;
- შემოსული კორესპონდენციის და დოკუმენტაციის ელექტრონულ საქმის წარმოებას.
- მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამისა და გორის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების პროგრამის ფარგლებში, (ბიუჯეტი 1 812660 ლარი) წლის განმავლობაში ფინანანსდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები, ასევე, წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილების მიერ 2023 წლის შესრულებული/დაფინანსებული პროექტები:

- N1 ა(ა) იპ „გორი-ლლა“-ს თანადაფინანსება კალათბურთის გუნდის გამგზავრების დაფინანსება საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიზნით (ავიაბილეთების ღირებულების გადახდა) - 4 800 ლარი.

- N2 ა(ა) იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ (ბოჩა) - 7 200 ლარი. (წლის განმავლობაში)

- N3 „საფეხბურთო კლუბი“-ს ა(ა) იპ „ბავშვთა საფეხბურთო განვითარება“ მგზავრობის დაფინანსება საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიზნით (ავიაბილეთების ღირებულების გადახრა) - 7 830 ლარი.

-

- N5 საკალათბურთო კლუბის „ივერიონი-გორის“ თანადაფინანსება - 944 909,76 ლარი. (წლის განმავლობაში)

- N6 რაგბი „გორის ჯიქი“-ს თანადაფინანსება - 400 000 ლარი. (წლის განმავლობაში იანვარი-აპრილის პერიოდი.სექტემბერი-ოქტომბრის პერიოდი).

-
- მარიამ მაისურაძე - სწავლის გადასახადი - 500 ლარი.
- მიხეილ გივი ზაუტაშვილის დაჯილდოება 85 წლის იუბილე - 2 500 ლარი.
- კლუბი ჩემპიონი თავისუფალი ჭიდაობა თანადაფინანსება - 20 000 ლარი. (წლის განმავლობაში)
- ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, 8-9 თებერვალი, დარბაზის ქირავნობა(საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში) - 7 500 ლარი.
- არჩილ მამულაშვილი, სწავლის დაფინანსება - 500 ლარი.
- ა(ა)იპ ტონთიო - ყინულზე ცოცვის ფესტივალი - 28 000 ლარი.
- საფეხბურთო კლუბის, გამგზავრების დაფინანსება საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიზნით (ავიაბილეთების ღირებულების გადახდა) ვილნიუსი - 7 350 ლარი.
- ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, შეკრებისთვის დარბაზის იჯარის დაფინანსება - 7 650 ლარი.
- ა(ა)იპ „გორი - ლლა“-ს თანადაფინანსება კალათბურთის გუნდის ვილნიუსში გამგზავრების დაფინანსება (ავიაბილეთების ღირებულების გადახრა) - 9 900 ლარი.
- ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, შეკრებისთვის დარბაზის იჯარის დაფინანსება - 9 600 ლარი.
- ძიუდო იანტბელიძე ბრინჯაო, გასიტაშვილი - ვერცხლი (ავიაბილეთების ღირებულების გადახდა) - 3 400 ლარი.
- N14 ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია კავშირი“- ს თანადაფინანსება - 14 505 ლარი. (წლის განმავლობაში)
- ა(ა)იპ შიდა ქართლის თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრეატლონის ფედერაციის თანადაფინანსება - 2 405 ლარი.
- შიდა ქართლის საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის თანადაფინანსება - 97 900 ლარი.
- ა(ა)იპ ქალთა და მამაკაცთა ფრენბურთის კლუბი გორის თანადაფინანსება - 24 320 ლარი. (წლის განმავლობაში აგვისტო დეკემბრის პერიოდი)

- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, გიორგი მაისურაძის დაფინანსება (ავიაბილეთის ღირებულების გადახრა) - 1650 ლარი.

- მუნიციპალური პირველობა მინი-ფეხბურთში, შიდა ქართლი 2023-ს ზაფხულის სპორტული თამაშების ფარგლებში - 6 000 ლარი ჯილდო.

- მუნიციპალური პირველობა 3X3-ზე კალათბურთში, შიდა ქართლი 2023-ს ზაფხულის სპორტული თამაშების ფარგლებში - 3 000 ლარი ჯილდო.

- N19 ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, შეკრებისთვის დარბაზის იჯარის დაფინანსება - 12 000 ლარი.

- მუნიციპალური პირველობა მარათონულ გარბენში, შიდა ქართლი 2023-ს ზაფხულის სპორტული თამაშების ფარგლებში.

- მიმდინარე წელს, სპორტის განყოფილება, ორგანიზებას უწევს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარებას.

- შინდისის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 11 აგვისტო, სსოფელი შინდისი.
- ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, შეკრებისთვის დარბაზის იჯარის დაფინანსება - 10 500 ლარი.

ა(ა) იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო სპორტულ-გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბი კენტავრი“-ს თ ანადაფინანსება საცხენოსნო დოღის ორგანიზების მიზნით, 2 300 ლარი

საერთაშორისო ტურნირის „ნუგზარ სხირელის თასი“-ს ორგანიზება, 24 550 ლარი

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, (დარბაზის ქირავნობა, ბერძნულ რომაული სტილით მოჭიდავეებისათვის) 7 280 ლარი

2023 წლის ახალგაზრდული განყოფილება

ახალგაზრდული ღონისძიებების ქვეპროგრამა

სულ 250 000 ლარი

	პროექტის დასახელება/ბენეფიციარი	**განმცხადებელი ორგანიზაცია**	**მუნიციპალალიტეტის ხარჯი**	**ორგანიზაციის ხარჯი**	**პროექტის მთლიანი ბიუჯეტი**	**მოკლე შინაარსი**
1	„დებატების ჩემპიონატი“	ა(ა)იპ გორის ახალგაზრდული ცენტრი	4 500 ლარი	550 ლარი	5 050 ლარი	ახალგაზრდებში ანალიტიკური აზროვნებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარება. დებატების კულტურის დანერგვა ახალგაზრდებში. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა ახალგაზრდამ. ნახევარ ფინალში გასული გუნდები, ბიუჯეტს მიღმა გაემგზავრნენ საქართველოს ჩემპიონატზე ხოლო, უშუალოდ ჩემპიონები ჩერთვნენ, ერასმუს პროგრამაში, საიდანაც გაემგზავრნენ სლოვაკეთში.
2	„ახალგაზრდა ქართველ და თურქ ისტორიკოსთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი“	სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3 500 ლარი	1 700 ლარი	5 200 ლარი	გორის მუნიციპალიტეტი ჩამოყალიბდება, როგორც ქვეყნისა და რეგიონის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრი და ხელი შეეწყობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას. საბოლოო ფინანსური დუკუმენტი არ წარმოუდგენიათ. ხელშეკრულებით, დრო განისაზღვრა მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე.
3	მარიამ მუკვანი				931.19 ლარი	სასწავლო ტრენინგ კურსზე გასამგზავრებლად ბილეთის თანხის ანაზღაურება (უნგრეთი)
4	„ახალგაზრდული კაფე“	ა(ა)იპ ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება	34 600 ლარი	12 160 ლარი 1 500 ლარი (დონორი ორგანიზაცია)	48 260 ლარი	ახალგაზრდებისაქტიური მოთხოვნის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სივრცე, რომელიც დაპროექტდა და დაიგეგმა თავად ახალგაზრდების მიერ. მენეჯმენტსაც უძღვებიან ახალგაზრდები, ხორციელდება ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი აქტივობები.
5	თანატოლგანმანათლებლები მომავლისათვის	ა(ა)იპ "კონფლიქტების გადაწყვეტისა და შერიგების საერთაშორისო ფონდი“	39 450 ლარი	4 550 ლარი	44 000 ლრი	სკოლის მოსწავლეებში ბულინგის შემთხვევების პრევენცია, ახალგაზრდებში თანატოლ განმანათლებლებთა კომპეტენციების ამაღლება და ცნობიერების გაზრდა სტრესის მართვის, ბულინგისა და თვითგამოხატვის მიმართულებით. აქტიური ახალგაზრდების წახალისება.(ბაკურიანის ბანაკი). ბანაკში, ახალგაზრდემბმა ისწავლეს ბავშვებთან მუშაობის პრინციპები და შესაბამისი

						სავარჯიშოები. ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ, სხვადასხვა სკოლებში ჩატარდა (ახალგაზრდების მიერ) 70 ზე მეტი ტრენინგი, გუნდის შეკვრასთან და დანაშაულის პრევენციის მიზნით. ტრენინგის კურსი გაიარა 100 ახალგაზრდამ, მეორეად ტრენინგებში(სკოლებში) გაიარა 1000 ზე მეტმა მოსწავლემ.
6	„ადგილობრივი ჩემპიონატი ფეინთბოლში“	საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაცია	3 720 ლარი	400 ლარი	4 120 ლარი	პროექტის მიზანია ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტსი, მასობრივი სპორტის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა, ფეინთბოლის პოპულარიზაცია ახალგაზრდებთან მუნიციპალიტეტის თანამშრომლების დაახლოება. ჯამში მონაწილეობა მიიღო 50 მონაწილემ.
7	ქალაქური თამაში „6 გასაღები“	ა(ა)იპ „შიდა ქართლის ახალგაზრდული ცენტრი ინოვატორი“	2 200 ლარი	75 ლარი	2 305 ლარი	პროექტის მიზანია 2 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები აქტიური ახალგაზრდების გაცნობა-დამეგობრება. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორ მუნიციპალიტეტში (გორი და საგარეჯო) ქალაქური თმაშები სადაც ორივე ქალაქიდან ჩაერთო 100 ზე მეტი ახალგაზრდა.
8	მარიამ ციცაგი				1 072 ლარი	სასწავლო ტრენინგ კურსზე გასამგზავრებლად ბილეთის თანხის ანაზღაურება. მარიამი გაემგზავრა ესპანეთში
9	გიორგი ცერაძე				1 811.80 ლარი	სასწავლო ტრენინგ კურსზე გასამგზავრებლად ბილეთის თანხის ანაზღაურება. გიორგი გამეგზავრა ინდოეთში
10	2023 წლის მოსწავლე - ახალგაზრდობის საზაფხულო ტურისტულ - გამაჯანსაღებელი ბანაკი	ა (ა) იპ ასოციაცია „ტონთიო - მდგრადი გარემო და ტურიზმი“	84 615 ლარი	29 600 ლარი	114 215 ლარი	500 აქტიური ახალგაზრდა CV და სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩა და გაემგზავრა ბიისის ბანაკში. პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და მათი დამეგობრება სხვადასხვა ჯგუფური აქტივობების მეშვეობით.
11	„ახალგაზრდული დღეები“	„შიდა ქართლის ახალგაზრდული ცენტრი ახალი თაობა“	12 525 ლარი	920 ლარი (დონორი ორგანიზაცია)	13 445 ლარი	პროექტის მიზანია მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებით ხელი შევუწყოთ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურებას განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
12	თემო დურული				6 00 ლარი	სასწავლო ტრენინგ კურსზე გასამგზავრებლად ბილეთის თანხის ანაზღაურება, თემური გაემგზავრა სლოვაკეთში
13	ახალგაზრდული მედიათეკა	„ა(ა)იპ სტუდია ოქონა“	8 000 ლარი	1 710 ლარი	9 710 ლარი	ახალგაზრდების ჩართვა არაფორმალურ განათლებაში და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

	„ოქონა“					პროექტში ჩართო 20 ახალგაზრდა, რომლებიც გადამზადდნენ ჟურნალისტიკის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში მომზადდა ათამდე სიუჟეტი. ახალგაზრდული სტუდია ფუნქციონირებს მიუხედავად პროექტის დასრულებისა.
14	„გორის ლუდის ფესტივალი 2023“	„ა(ა)იპ საქართველოს კულტურის ცენტრი“	6 200 ლარი	1 400 ლარი	7 600 ლარი	ქართული ტრადიციული ლუდის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის აღდგენა და პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები, გამარჯვებულს გადაეცა ფასიანი საჩუქარი (რლეისთეიშენი 5) ჯამში პროექტში ჩაერთო 300 დე პირი (პროექტი გათვლილი იყო +18 სრულწლოვნებზე)
15	ინოვაციური ბანაკი	შპს ქლევერტონი			4 992 ლარი	13 წარმატებული ახალგაზრდა შეირჩა დაბა ბაკურიანში-ინოვაციურ ბანაკში გასამგზავრებლად, სადაც გაიარეს ტრენინგები თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით.
16	ანი რაზმაძე				310 ლარი	სასწავლო ტრენინგ კურსზე გასამგზავრებლად ბილეთის თანხის ანაზღაურება.ანი გაემგზავრა იტალიაში
	გახარჯული თანხა - 201 827 ლარი ნაშთი - 48 173 ლარი					